ISSN 2667-9396

№ 26

საქნახშირი

მეშახტე

კომპანიის სიახლეები
ჩვენი თანამშრომლები
ღონისძიებები

ტყიბულის ამბები
იმერეთის სიახლეები
სპორტი

მეშახტის დღე 2023

გვ. 3

გვ. 4

ტყიბულში დახრილი ჭაურის მშენებლობის მოსამზადებელი სამუშაოები დაიწყო

გვ. 8

საჭადრაკო ფესტივალი "ტყიბული 2023"

გვ. 11

"ზესტაფონობა 2023" მრავალფეროვანი ღონისძიებებით აღინიშნა

ამბროსი არსენიძე

11 წელი „საქნახშირში“

ამბროსი არსენიძე წყალქცევის უბნის ზეინკალ-ოპერატორია. დაამთავრა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამთო-გეოლოგიური ფაკულტეტის ტყიბულის სამთო-ტექნოლოგიური ინსტიტუტი (ასევე, სწავლობდა გრიგოლ ხანძთელის სახელობის სასულიერო სემინარიაში, თეოლოგიის მიმართულებაზე). 11 წელია სამთო დარგს ემსახურება და მთელი ამ დროის განმავლობაში, უდიდესი პასუხისმგებლობითა და სიყვარულით ასრულებს დაკისრებულ მოვალეობას.

ჰყავს მეუღლე და 4 შვილი. მეუღლესთან ერთად ფერმერულ საქმიანობასაც ეწევა. თვლის, რომ მუშაობის სტიმულს და მოტივაციას სწორედ ოჯახი და შვილები აძლევენ.

ამბროსი არსენიძე: „შახტი ჩვენი ქალაქის მომავლის იმედია, მასზეა დამოკიდებული რეგიონის კეთილდღეობა. მეშახტეები მშრომელი და ერთგული ადამიანები არიან. ჩემთვის, მათთან ერთად გატარებული თითოეული საათი ძვირფასია.

მინდა ჩვენი კომპანია კიდევ უფრო გაძლიერდეს, კიდევ უფრო მეტი ადამიანი დასაქმდეს, რაც შეიძლება ბევრ ოჯახს ჰქონდეს ბედნიერი მომავლის გარანტია... ასევე, ტყიბული უფრო გალამაზდეს, გახალისდეს და ბევრი ადამიანი დაბრუნდეს მშობლიურ ქალაქში საცხოვრებლად. ყველა მეშახტეს უსაფრთხო სამუშაო გარემოს და ბედნიერ მომავალს ვუსურვებ.“

11 წელი სამთო სფეროში

გიორგი ხორხომელიძე

გიორგი ხორხომელიძემ ტყიბულის სამთო-ტექნოლოგიური ინსტიტუტი სამთო ელექტრო-მექანიკოსის სპეციალობით დაამთავრა. ამავე სასწავლებელში ამჟამად სამთო ტექნიკოსის პროფესიას ეუფლება. ძმასთან ერთად ღირსეულად აგრძელებს ოჯახის ტრადიციას, ერთ-ერთი წარმატებული სპეციალისტია და ერთგულად ემსახურება საკუთარ პროფესიას და მშობლიურ ქალაქს.

შახტში მუშაობა 2012 წელს, ვენტილაციისა და უსაფრთხოების სამსახურში დაიწყო. მოგვიანებით, ოსტატ-ამფეთქებლის პოზიციაზე გადავიდა. გარკვეული პერიოდი აჭარის ჰესის მშენებლობაზე ამფეთქებლად მუშაობდა. შემდეგ ისევ „საქნახშირს“ დაუბრუნდა და დღემდე „საქნახშირის“ გუნდის წევრია.

გიორგი ხორხომელიძე: „საქნახშირი ტყიბულისთვის სასიცოხლოდ მნიშვნელოვანი ობიექტია. მეც და ჩემი ძმაც შახტში ვართ დასაქმებულები და ეს არის ჩვენი ოჯახის ძირითადი შემოსავალი. ძალიან დასაფასებელია ის ყურადღება, რომელსაც კომპანიისგან ვგრძნობთ. მიხარია, რომ ყოველწლიურად ტარდება სპორტული და კულტურული ღონისძიებები, როგორც მეშახტეებისთვის, ასევე მათი შვილებისთვის. აქტიურად ვმონაწილეობთ ყველა ღონისძიებაში და სასიამოვნოა, რომ კომპანია ამ შესაძლებლობებს გვაძლევს. წარმატებას და გაძლიერებას ვუსურვებ „საქნახშირს“ ჩვენი ოჯახებისა და ჩვენი ქვეყნის საკეთილდღეოდ.“

ჯახა ხორხომელიძე

12 წელი „საქნახშირში“

„საქნახშირში“ მუშაობა 2011 წელს, ვენტილაციის სამთო ოსტატად დაიწყო. შემდეგ ბურღვა-ფეთქითი სამუშაოები შეისწავლა და ოსტატ-ამფეთქებელი გახდა. დღეს ის აფეთქებითი სამუშაოების წარმოების უბნის უფროსის მოადგილეა.

ქუთაისის სუპტროპიკული მეურნეობის სახელმწიფო უნივერსიტეტი აგრონომ-ინჟინრის კვალიფიკაციით დაამთავრა. ასევე სწავლობდა ტყიბულის სამთო-ტექნოლოგიურ ინსტიტუტში“ სამთო ელექტრომექანიკოსის სპეციალობით. „სანახშირის“ ხელშეწყობით, საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში ბურღვა-ფეთქითი სამუშაოების ტექნოლოგიისა და უსაფრთხოების სერტიფიცირება გაიარა, წარმატებით დაეუფლა შახტში აფეთქებითი სამუშაოების სპეციფიკას და წლებია წარმატეებით ასრულებს საკუთარ მოვალეობას.

კახაბერ ხორხომელიძე: „მამა მეშახტე იყო, წლების მანძილზე შახტში სხვადასხვა საპასუხისმგებლო პოზიციებზე მუშაობდა. დღეს მე და ჩემი ძმა ვაგრძელებთ ოჯახის ტრადიციას და ორივე მეშახტეები ვართ. „საქნახშირი“ ჩემი მეორე ოჯახია. აქ დასაქმებულების უმეტესობა, განურჩევლად პოზიციიისა, ყველა მეგობარი და ახლობელია. მოხარული ვარ, რომ მშობლიურ ქალაქში ვხოვრობ და ვსაქმიანობ, ჩემი შრომით შემიძლია უნზრუნველვყო ოჯახის კეთილდღეობა. შახტა დაარსების დღიდან იყო და არის ტყიბულის მამოძრავებელი ძალა, რითაც არსებობს ქალაქი. ვისურვებდი, რომ კიდევ უფრო გაძლიერდეს კომპანია ჩვენი რეგიონის საკეთილდღეოდ.“

ჩვენი გუნდის ახალი ნევრი

თორნიკე გოტიაშვილი

რამდენიმე თვეა, რაც თორნიკე გოტიაშვილი „საქნახშირის“ გუნდს შემოუერთდა და ხარისხის კონტროლის სამსახურში, სინჯის ამღების პოზიციაზე დასაქმდა. თორნიკეს მუსიკალური განათლება აქვს მიღებული, მან ქუთაისის აკაკი ვასაძის სახელობის მუსიკალური კოლეჯი საგუნდო-სადირიჟორო სპეციალობით დაასრულა. 2018 წელს ტყიბულის მუნიციპალურ თეატრში დაიწყო მუშაობა. მსახიობის პროფესიას ახალი, სრულად განსხვავებული სფერო შეუთავსა, წარმატებით დაეუფლა ახალ საქმიანობას და ასეთივე წარმატებით აგრძელებს მუშაობას ორ, ერთმანეთისგან განსხვავებულ სფეროში.

თორნიკე გოტიაშვილი: „ბევრი შანსი მქონდა, რომ სხვა ქალაქში წავსულიყავი სამუშაოდ. თუმცა, მირჩევნია მცირე შემოსავლი მქონდეს და ჩემს ქალაქში ვიცხოვრო, ჩემი საყვარელი ადამიანების გვერდით ვიყო. მიყვარს ჩემი საქმიანობა და ის ადამიანები ვის გვერდითაც ვცხოვრობ და ვსაქმიანობ. ძალიან გამიმართლა და „საქნახშირში“ საუკეთესო ადამიანები დამხვდნენ, ფაქტობრივად, ოჯახურ სიტუაციაში აღმოვჩნდი. ეს კომპანია უდიდეს საქმეს აკეთებს ტყიბულის და მთელი რეგიონის განვითარების მხრივ.

ზოგადად, ვთვლი, რომ ახალგზრდები ქმნიან მომავალს, სხვანაირი მუხტი და ენერგია აქვთ. ამიტომ, მინდა, რომ კიდევ უფრო მეტი სამუშაო ადგილი შეიქმნას ტყიბულში, კიდევ უფრო მეტი ახალგაზრდისთვის იყოს მიმზიდველი აქ საქმიანობა და ცხოვრება. იმედი მაქვს, ხელისუფლებისა და „საქნახშირის“ ერთობლივი ძალისხმევით, ტყიბული მალე კიდევ უფრო განვითარდება!“

ᲛᲔᲨᲐᲮᲢᲘᲡ ᲓᲦᲔ 2023

შოვში მომხდარი ტრაგედიის გამო, კომპანიამ „მეშახტის დღის“ კონცერტი და საზეიმო ღონისძიებები გააუქმა.

ტყიბულის მუნიციპალურ თეატრში „საქნახშირმა“ წლის საუკეთესო თანამშრომლებს მადლობის სიგელები და ფულადი ჯილდოები გადასცა, საწარმოს მუშაობა შეაჯამა და თანამშრომლებს მიმდინარე და ახალი პროექტების შესახებ ანგარიში წარუდგინა.

შეხვედრის მთავარი თემა იყო შრომის უსაფრთხოებისა და წარმოების გაზრდის მიმართულებით განხორციელებული ცვლილებები, ასევე, დახრილი ჭაურის მშენებლობის პროექტი, რომელიც 4 წელი გაგრძელდება.

მეშახტეებს პროფესიული დღე მიულოცეს „საქნახშირის“ გენერალურმა დირექტორმა, მიხაილ სოცკიმ, ასევე, ტყიბულის, თერჯოლის, ზესტაფონისა და ბაღდათის მაჟორიტარმა დეპუტატმა, ბეჟან წაქაძემ, ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერმა, დავით ჩერქეზიშვილმა და ტყიბულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ, იოსებ რობაქიძემ.



ტყიბულში დახრილი ჭაურის მშენებლობის მოსამზადებელი სამუშაოები დაიწყო

ყოფილი ორჯონიკიძის შახტის ტერიტორიაზე დახრილი ჭაურის მშენებლობის მოსამზადებელი სამუშაოები მიმდინარეობს. მშენებლობა 3 ეტაპს მოიცავს: პირველი ეტაპი ზედაპირული კომპლექსის სრულ მოწყობას გულისხმობს, მეორე ეტაპი დახრილი ჭაურის მშენებლობას, მესამე კი, 175-ე ჰორიზონტის მომზადებას.

ჭაური უახლესი მანქანა-მექანიზმებით აღიჭურვება და გამოყენებული იქნება პროგრესული ტექნოლოგიები. აღნიშნულ პროექტში „საქნახშირის" პარტნიორები არიან გერმანული, ჩეხური, ჩინური და უკრაინული კომპანიები.

საერთაშორისო გერმანული კომპანია DMT-ს ექსპერტული შეფასების მიხედვით, დაგეგმილი სამუშაოების განხორციელების შედეგად, 1 წელში 1 მილიონ ტონამდე ქვანახშირის ამოღება იქნება შესაძლებელი. დახრილი ჭაურის საპროექტო სამუშაოებს უკრაინული კომპანია „მაინინგ დიზაინ გრუპი" ახორციელებს. პროექტი მზად მიმდინარე წლის დეკემბერში იქნება, რის შემდეგაც ჭაურის მშენებლობა დაიწყება.



რუდიგერ დურჰოლცი (DMT-ის ბიზნესის განვითარების მენეჯერი): *„DMT არის KIFNORD გრუპის შვილობილი კომპანია, რომელიც სამთო ინჟინერიისა და საკონსულტაციო სერვისების მიმართულებით მოღვაწეობს. ჩვენი ძირითადი სერვისებია სამთო სექტორში მარაგების შეფასება, გეოლოგიური და გეოფიზიკური კვლევები. მოპოვების გაოთხმაგების მიზნით, საქნახშირმა ტყიბულის შახტების ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევა დაგვიკვეთა. ამ ყველაფერს კი საფუძვლად უდევს 150 მეგავატიანი თბოსადგურის მშენებლობა. ვამაყობთ, რომ პროექტი წარმატებით დავასრულეთ და შევძელით ტყიბულის საბადოს მარაგების შეფასება."*

ახალი შახტი აღჭურვილი იქნება ჩეხური კომპანია FERRIT-ის დანადგარებითა და მონორელსური მანქანებით. FERRIT 1993 წლიდან აწარმოებს საშახტო აღჭურვილობას და ქმნის უნიკალურ შესაძლებლობებს, რომ უფრო ეფექტიანი და უსაფრთხო გახადოს მოპოვების პროცესი. თანამედროვე მონორელსური საშახტო ტრანსპორტი ოპტიმიზებული იქნება ტყიბულის დახრილ ჭაურზე; იდეალური იქნება პერსონალის გადაადგილებისთვის, ასევე ტვირთისა და სხვა მასალების ტრანსპორტირებისთვის. FERRIT-ის მანქანა-დანადგარები ტესტირებას სიმულირებულ საშახტო პოლიგონებსა და დახრილ გვირაბებში გადიან; მოწმდება ავარიული და სამუხრუჭე სისტემები, რის შემდეგაც ხდება მათი ექსპლოატაციაში გაშვება.

გარდა ამისა, შახტი აღჭურვილი იქნება თანამედროვე სტანდარტების კონვეიერებით, ასევე, გამყვანი კომბაინებით, რომელთა ჩამოტანას და გამართულ მუშაობას ჩინური კომპანია RENQ-ი უზრუნველყოფს.

მიროსლავ ბარტეჩეკი (FERIT-ის წარმომადგენელი): *„უკვე 30 წელია ჩეხური კომპანია FERRIT-ი მსოფლიო ბაზრის ლიდერია.ჩვენი კომპანია ტყიბულში, მინდელის სახელობის შახტის რეკონსტრუქციაში მონაწილეობს. ჩვენი მიზანია, უზრუნველვყოთ წელიწადში 1 მილიონ ტონამდე ქვანახშირის მოპოვება. FERRIT-ი დაამონტაჟებს კონვეიერებს და სხვა საჭირო დანადგარებს... ასევე, მონორელსურ საშახტო ტრანსპორტს, რომელიც უზრუნველყოფს პერსონალის უსაფრთხო გადაადგილებას და ტვირთის გადატანას."*

მიმდინარე სამუშაოების პარალელურად, დღის წესრიგში დგას ახალი სპეციალისტების მომზადება. „საქნახშირი" აქტიურად თანამშრომლობს საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტთან. აღნიშნული თანამშრომლობის ფარგლებში, პერმანენტულად მიმდინარეობს არსებული კადრების კვალიფიკაციის ამაღლება. პარალელურად, დაგეგმილია ახალი სპეციალისტების მომზადება და სამთო-მოპოვებითი სფეროს პოპულარიზაციის ხელშეწყობა.

დახრილი ჭაურის მშენებლობა 4 წელში დასრულდება. მისი სიგრძე 2300 მეტრი იქნება და მინდელის შახტის 175-ე ჰორიზონტამდე მიაღწევს.

აღნიშნული პროექტის წარმატებით განხორციელება დამატებით სამუშაო ადგილებს შექმნის. ახალი შახტის ამუშავების შემდეგ, ჯამში 2500 ადამიანი დასაქმდება.

შედეგად, „საქნახშირი" განვითარების მომდევნო ეტაპზე გადავა და ტყიბულში 150 მეგავატიანი თბოელექტროსადგურის მშენებლობა დაიწყება...

ეს კი ნიშნავს იმას, რომ კიდევ უფრო გაიზრდება ქვანახშირის მოპოვება, შეიქმნება დამატებითი სამუშაო ადგილები, გაძლიერდება ქართული ეკონომიკა და ტყიბული ქვეყნის მძლავრი ინდუსტრიული ცენტრი გახდება.

„საქნახშირმა" სტუ-ს მიერ ორგანიზებულ დასაქმების ფორუმში მიიღო მონაწილეობა

"საქნახშირის" ადამიანური რესურსები განყოფილების წარმომადგენლებმა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბაკალავრიატის დამამთავრებელი კურსის სტუდენტებს, მაგისტრანტებს, დოქტორანტებსა და კურსდამთავრებულებს მიმდინარე ვაკანსიების შესახებ დეტალური ინფორმაცია მიაწოდეს, რის შემდეგაც, სასურველი ვაკანსიების შერჩევისა და განაცხადების შევსების შესაძლებლობა მათ ადგილზევე მიეცათ.

"დასაქნების ფორუმი - 2023" მასშტაბური ღონისძიებაა, რომელიც წელს ქვეყნის შრომის ბაზარზე მოქმედ ასზე მეტ ავტორიტეტულ კომპანიას და 1000-მდე ვაკანსიას აერთიანებდა.

მეშახტეები აბასთუმანში მკურნალობის სპეციალურ კურსს გაივლიან

სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში, მეშახტეები აბასთუმნის ფილტვის ცენტრში მკურნალობისა და დასვენების პროგრამით ისარგებლებენ.

პირველ ეტაპზე, დასაქმებულებს კვლევა ჩაუტარდებათ, რის შემდეგაც პულმონოლოგი გასცემს შესაბამის დასკვნას. ამ დასკვნის საფუძველზე მეშახტეებს დაენიშნებათ მკურნალობის 20 დღიანი კურსი და გაემგზავრებიან აბასთუმნის ფილტვის ცენტრში. მეშახტეები უზრუნველყოფილები იქნებიან შესაბამისი კვებით, დამატებითი კვლევებითა და სამედიცინო მომსახურებით. აღნიშნული პროგრამით სარგებლობას დასაქმებულები შეძლებენ შვებულების ხარჯზე. ყველა ზემოთ ჩამოთვლილი მომსახურება უფასო იქნება.

„ᲡᲐᲥᲜᲐᲮᲨᲘᲠᲘᲗᲐ" ᲗᲐᲜᲐᲛᲨᲠᲝᲛᲚᲔᲑᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲙᲚᲐᲡᲔᲚᲘ ᲨᲕᲘᲚᲔᲑᲘ ᲓᲐᲐᲡᲐᲩᲣᲥᲠᲐ

"საქნახშირის" დირექტორმა, ალექსანდრ ლოვინმა და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების უფროსმა, მაკა კობახიძემ პატარებს ჩანთები და სასკოლო ნივთები გადასცეს.

"საქნახშირი" წარმატებულ და ნაყოფიერ სასწავლო წელს უსურვებს ყველა პირველკლასელს!

ᲓᲝᲛᲘᲜᲝᲡ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲐᲢᲘᲡ ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲣᲚᲔᲑᲘ ᲕᲐᲚᲝᲓᲘᲐ ᲛᲔᲡᲮᲘ ᲓᲐ ᲕᲚᲐᲓᲘᲛᲔᲠ ᲡᲣᲚᲐᲛᲐᲜᲘᲫᲔ ᲒᲐᲮᲓᲜᲔᲜ!

"საქნახშირის სპორტული და გასართობი ღონისძიებების" ფარგლებში დომინოს ჩემპიონატი გაიმართა. შეჯიბრი შვეიცარიული მეთოდით მიმდინარეობა და მასში მონაწილეობა 70-მდე მეშახტემ მიიღო. თამაშს "ტყიბულის ქადრაკის ფედედრაციის" ვიცე-პრეზიდენტი, იუზა დოლიძე ხელმძღვანელობდა. ადგილები ასე გადანაწილდა:

I ადგილი ვალოდია მესხმა და ვლადიმერ სულამანიძემ დაიკავეს.

II ადგილზე შალვა ბანცაძე და ალიმი არსენაშვილი გავიდნენ.

III ადგილი კობა სამაკაშვილს და ოთარ ქათამაძეს ერგოთ.

"საქნახშირის" გენერალურმა დირექტორმა, მიხაილ სოცკიმ გამარჯვებულებს სამახსოვრო სიგელები და ფულადი ჯილდოები გადასცა.

შაორის წყალსაცავზე სპორტული თევზაობის შეჯიბრი გაიმართა

შაორის წყალსაცავზე, მეშახტეებს შორის სპორტული თევზაობის შეჯიბრი გაიმართა! "საქნახშირის" ადმინისტრაციის ინიციატივით, სპორტული თევზაობის შეჯიბრი ტრადიციად იქცა და უკვე მეოთხე წელია იმართება. წელს, მეშახტეებს ზესტაფონის მერი, ვასილ გველესიანი შეუერთდა და სიმბოლურად ჩაერთო შეჯიბრში.

თევზაობა დილის 6 საათზე დაიწყო და 5 საათი გრძელდებოდა. ადგილები ასე გადანაწილდა: I ადგილი - როინ კაკოიშვილი (10.183 კგ.) II ადგილი - მამუკა მანაგაძე (9.452 კგ.) III ადგილი - გოგი სეფერთელაძე (9.300 კგ.) IV ადგილი - ავთანდილ ბრეგაძე (7.901 კგ.)

შეჯიბრს თვალს ადევნებდა "საქართველოს ტივტივით სპორტული თევზჭერის ეროვნული ფედერაციის" პრეზინდენტი, თამარ მეზურნიშვილიც, რომელმაც მეხუთე გამარჯვებული, გურგენ ქათამაძე ყველაზე დიდი თევზის დაჭერისთვის სპეციალური პრიზით დააჯილდოვა. „საქნახშირის“ ადმინისტრაციამ გამარჯვებულებს ფულადი ჯილდოები გადასცა. გამარჯვებულების დაჯილდოების შემდეგ, ღონისძება პიკნიკით და გასართობი თამაშებით დაგვირგვინდა!

ᲛᲔᲨᲐᲮᲢᲔᲔᲑᲡ ᲖᲝᲠᲘᲡ ᲤᲔᲑᲨᲠᲗᲘᲡ ᲖᲘᲓᲐ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲐᲢᲨᲘ ᲡᲐᲨᲐᲮᲢᲝ ᲢᲠᲐᲜᲡᲞᲝᲠᲢᲘᲡ ᲣᲑᲐᲜᲛᲐ ᲒᲐᲘᲛᲐᲠᲯᲕᲐ

ჩემპიონატი ერთი კვირის განმავლობაში მიმდინარეობდა და თითქმის ყველა უბანი ჩაერთო. ნახევარფინალი და ფინალური შეხვედრა ტყიბულის მინი სპორტულ სტადიონზე გაიმართა.

პირველი ადგილი საშახტო ტრანსპორტის უბნის გუნდმა დაიკავა. მეორე ადგილზე საშახტო აწევის უბანი გავიდა. მესამე ადგილი კი "ძიძიგურის" შახტის N4 ნახშირმომპოვებელ უბანს ერგო. 2023 წლის ჩემპიონატის საუკეთესო მეკარე გიორგი ჭაბუკიანი გახდა, საუკეთესო ფეხბურთელის ტიტული კი შოთა ივანეიშვილმა მოიპოვა.

ᲢᲧᲘᲑᲣᲚᲘᲡ ᲡᲞᲝᲠᲢᲡᲛᲔᲜᲔᲑᲘᲡ ᲬᲐᲠᲛᲐᲢᲔᲑᲐ

საქართველოს რეგიონებს შორის, კიკ-ბოქსინგში შავი ზღვის თასზე პირველობა გაიმართა. შეჯიბრი ქობულეთში ჩატარდა და მასში 80-მდე სპორტსმენი მონაწილეობდა.

აღნიშნულ ტურნირში ტყიბულის მუნიციპალიტეტის სპორტული ცენტრის სამმა სპორტსმენმა იასპარეზა, რომლებმაც გამარჯვება შემდეგ წონით კატეგორიაში მოიპოვეს: **ნიკოლოზ ბოჭორიშვილი** 44 კგ; **დემეტრე ობოლაძე** 35 კგ; **ირაკლი აკოფოვი** 56 კგ. ტყიბულელი სპორტსმენები შეჯიბრისთვის ლევან კუბლაშვილმა მოამზადა.

კუდოს ფედერაციის ხელშეწყობით, სამივე სპორტსმენი ერთი კვირით იყო მიწვეული ქობულეთში, საწვრთნელ შეკრებაზე, სადაც საქართველოს კუდოს ნაკრებთან ერთად გაძლიერებული პროგრამით გაიარეს ვარჯიშები.

ᲨᲐᲕᲘ ᲭᲐᲛᲐᲠᲘ ᲓᲐ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲓᲐᲜᲘ – ᲚᲔᲕᲐᲜ ᲙᲣᲑᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲡᲐᲔᲠᲗᲐᲨᲝᲠᲘᲡᲝ ᲐᲦᲘᲐᲠᲔᲑᲐ

ტყიბულის კუდოს კლუბ "სამურაის" მთავარმა მწვრთნელმა 50 წლის ლევან კუბლაშვილმა ბულგარეთის ქალაქ ვარნაში წარმატებით ჩაბარა კუდოს საერთაშორისო ფედერაციის საკვალიფიკაციო გამოცდები და პირველი დანი მოიპოვა.

ტყიბულელ მწვრთნელს უმაღლესი წოდება კუდოს საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტმა, კენიჩი ოსადამ პირადად მიანიჭა. ლევან კუბლაშვილი 20 წელზე მეტია სამწვრთნელო მოღვაწეობას ეწევა და იმერეთის რეგიონში, კონკრეტულად კი ტყიბულში, სპორტის განვითარებასა და ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაციაში მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს. მისი აღზრდილი კუდოისტები კი წარმატებით ასპარეზობენ სხვადასხვა ტურნირებზე.

ბულგარეთში კუდოს

საერთაშორისო ფედერაციის ორგანიზებით, კუდოს მწვრთნელებისთვის სპეციალურ სემინარიც ჩატარდა.

150 ადრესატს საქარითველოს წითელი ჯვრის ამანათები გადაეცა

ტყიბულის მუნიციპალური პროგრამებით მოსარგებლე ოჯახებს, საქართველოს წითელი ჯვრის ჰუმანიტარული ამანათები გადაეცათ. 3-დან 12 წლამდე ასაკობრივი კატეგორიის მიხედვით დაკომპლექტებული სასაჩუქრე ნაკრები მუნიციპალიტეტის მასშტაბით 150-მა ადრესატმა მიიღო.

აქციაში მერის მოადგილე ალექსანდრე ქათამაძე, ადგილობრივი თვითმმართველობისა და საქართველოს წითელი ჯვრის ტყიბულის ფილიალის წარმომადგენლებთან ერთად ჩაერთო.

ერეკლეში, ტყიბულელი ბავშვებისთვის საზაფხულო ბანაკი მოეწყო

ტყიბულის მერიის ფინანსური მხარდაჭერითა და კერძო ბიზნესმენის ქველმოქმედებით, ოჯახებისა და ბავშვების დახმარების პროგრამის ფარგლებში, მუნიციპალიტეტის სხვადასხვა სოფლებიდან ბავშვებმა ურეკში დაისვენეს.

გამომგზავრებამდე ბავშვებს ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერი, დავით ჩერქეზიშვილი ადგილზე შეხვდა და მათთან ერთად საზაფხულო ბანაკის მოწყობის საქმეში შეტანილი მნიშვნელოვანი წვლილისთვის და გაწეული ქველმოქმედებისათვის, ზურაბ ცნობილაძეს მადლობის სიგელი გადასცა, რომელმაც ერთი კვირის განმავლობაში საკუთარ სასტუმროში გულთბილი მასპინძლობა გაუწია ტყიბულელ სტუმრებს.

მუხურაში შიდა სასოფლო გზებზე ბეტონის საფარი მოეწყო

საქართველოს პარლამენტის წევრმა, ტყიბულის მაჟორიტარმა დეპუტატმა ბეჟან წაქაძემ და მუნიციპალიტეტის მერმა დავით ჩერქეზიშვილმა, ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებთან ერთად, მაღალმთიან სოფელ მუხურაში საგზაო ინფრასტრუქტურა დაათვალიერეს და მოსახლეობასთან შეხვედრები გამართეს.

ხელისუფლების წარმომადგენლები საკვირაოსა და ტელმანის უბნებში იმყოფებოდნენ, სადაც მთის განვითარების ფონდის ფარგლებში, 2კმ-ზე მეტ შიდა სასოფლო გზებზე ბეტონის საფარი მოეწყო. ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერიის დაკვეთის 770 000 ლარის ღირებულების სამუშაოები ტენდერში გამარჯვებულმა კომპანიამ, შპს ,,მეკა" განახორციელა.

მუნიციპალიტეტის მერმა და მაჟორიტარმა დეპუტატმა, შეხვედრებზე მოსახლეობას ინფორმაცია მიაწოდეს მუხურაში დაგეგმილი პროექტების შესახებ, ადგილობრივების საჭიროებებს გაეცნენ და მათი გადაჭრის გზები დასახეს.

მალე მუხურაში საბავშვო ბაღის მშენებლობაც დაიწყება, უკვე გამოვლენილია გამარჯვებული კომპანია და მიმდინარეობს საპროექტო დოკუმენტაციის მომზადების პროცესი. ასევე, სოფელში მოეწყობა თანამედროვე სკვერი და ხელოვნურსაფარიანი მინი სპორტული მოედანი.

ძუყნურის ,,ქარიშხალა" მინი ფეხბურთის ჩემპიონატის გამარჯვებულია!

ძუყნურის ,,ქარიშხალა" ტყიბულის მუნიციპალიტეტის მასშტაბით, 2023 წლის მინი ფეხბურთის ჩემპიონატის გამარჯვებულია. მეორე ადგილზე ქ. ტყიბულის გუნდი ,,ელიტა" გავიდა, ხოლო მესამე ადგილი ,,ზემელმა" დაიკავა.

საპრიზო ადგილებზე გასული გუნდები საქართველოს პარლამენტის წევრმა, ტყიბულის მაჟორიტარმა დეპუტატმა, ბეჟან წაქაძემ, მუნიციპალიტეტის მერმა, დავით ჩერქეზიშვილმა და საკრებულოს თავმჯდომარემ, იოსებ რობაქიძემ დააჯილდოვეს.

გუნდებს მუნიციპალიტეტისაგან, შესაბამის მედლებთან და სიგელებთან ერთად ფულადი პრიზები გადაეცათ:

I ადგილზე გასულმა გუნდმა 700 ლარი მიიღო, II-ე ადგილისანმა 500, ხოლო III ადგილის მფლობელმა - 300.

დამატებით, ამავე ოდენობის ფულადი პრიზები გადასცა ტყიბულის მაჟორიტარმა დეპუტატმა, ბეჟან წაქაძემ საპრიზო ადგილებზე გასულ გუნდებს. დასახელდნენ ნომინაციებში გამარჯვებულებიც:

საუკეთესო ბომბარდირი - ლუკა ჯანელიძე (ზედა ხრესილი);

საუკეთესო ფეხბურთელი - ანრი ლაფერაძე (ქარიშხალა);

საუკეთესო მეკარე - საბა ჯმუხაძე (ქარიშხალა).

ტურნირი ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერიის ორგანიზებით ორი კვირის განმავლობაში მიმდინარეობდა.

საქადრაკო ფესტივალი ,,ტყიბული 2023"

საქადრაკო ფესტივალი ტყიბულში ერთი კვირის განმავლობაში მიმდინარეობდა და მასში 14 მუნიციპალიტეეტის 121 მოქადრაკე იღებდა მონაწილეობას. გამარჯვებულების დაჯილდოების ღონისძიებას ტყიბულის სპორტის სასახლემ უმასპინძლა.

ღონისძებას ტყიბულის ქადრაკის ფედერაციის პრეზიდენტი, მიხაილ სოცკი, მუნიციპალიტეტის მერი, დავით ჩერქეზიშვილი, საკრებულოს თავმჯდომარე, იოსებ რობაქიძე და საგანგებოდ მოწვეული სტუმრები ესწრებოდნენ.

გამარჯვებულებს ფულადი პრიზები, თასები, მედლები და შესაბამისი დიპლომები გადაეცათ. საუკეთესო მოთამაშეები ტყიბულის ქადრაკის ფედერაციის პრეზიდენტმა და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებმა, ასევე, საქართველოს ქადრაკის ფედერაციის პრეზიდენტმა, აკაკი იაშვილმა, ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტმა, გიორგი გიორგაძემ, საქართველოს პარლამენტის წევრმა, იმერეთის ქადრაკის ფედერაციის პრეზიდენტმა, ზაზა ლომინაძემ და მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონმა ქადრაკში ნანა იოსელიანმა დააჯილდოვეს.

ფესტივალი ტყიბულის, იმერეთისა და საქართველოს ქადრაკის ფედერაციების ორგანიზებით, ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერიისა და მიხაილ სოცკის სპონსორობით გაიმართა. ღონისძიების მხარდამჭერი იყო ტყიბულის სპორტული ცენტრი.

ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერმა მოსწავლეებს და პედაგოგებს სასწავლო წლის დაწყება მიულოცა

ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერი, დავით ჩერქეზიშვილი და საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე, სოფიო ბოჭორიშვილი, ტყიბულის საგანმანათლებლო რესურსცენტრის ხელმძღვანელთან, ირინე კორძაიასთან ერთად, N7 საჯარო სკოლას ეწვივნენ და მოსწავლეებსა და პედაგოგებს ახალი სასწავლო წლის დაწყება მიულოცეს.

სკოლა საგანმანათლებლო პროცესის დაწყებას ახალი, თანამედროვე ინფრასტრუქტურით შეხვდა, რომელიც ორსართულიანი ძირითადი სასწავლო კორპუსისა და დამხმარე სამსართულიანი შენობისგან შედგება.

დავით ჩერქეზიშვილმა, ერთ-ერთ პირველკლასელს, ელენე ბარბაქაძეს, სწავლის დაწყება ყვავილებით მიულოცა და სკოლაშიც პირადად მიაცილა. მერმა მოსწავლეებს, მშობლებსა და პედაგოგებს სიტყვით მიმართა, მათ წარმატებული და ნაყოფიერი სასწავლო წელი უსურვა.

ტყიბულში ერთიან ეროვნულ გამოცდებზე საუკეთესო შედეგების მჭონე ჯუნსდამთავრებულები დააჯილდოეს

საქართველოს პარლამენტის წევრმა, ტყიბულის მაჟორიტარმა დეპუტატმა, ბეჟან წაქაძემ და ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერმა დავით ჩერქეზიშვილმა, ზოგადსაგანმანათლებლო საჯარო სკოლების 2022-2023 სასწავლოს წლის ტყიბულელ კურსდამთავრებულებს, რომლებმაც ერთიან ეროვნულ გამოცდებზე უმაღლესი შედეგები აჩვენეს, მიღწეული წარმატებები მიულოცეს და ფულადი პრიზებით დააჯილდოეს.

დავით ჩერქეზიშვილმა, მე-4 საჯარო სკოლის კურსდამთავრებული, რიტა ჭანტურიძე, რომელიც ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში 100% გრანტით ჩაირიცხა 1000 ლარით დააჯილდოვა.

ბეჟან წაქაძემ წარმატებულ ტყიბულელ ახალგაზრდებს, მათ ვინც მიმდინარე წლის ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგებით (საგნები: მათემატიკა, ქართულ ენა და ლიტერატურა) მუნიციპალიტეტის მასშტაბით საუკეთესო შეფასებების მქონე აბიტურიენტთა პირველ სამეულში მოხვდნენ ფულადი პრიზები - 1100, 1000, 900 ლარი პირადად გადასცა.

ნიკოლოზ ოდიკაძე - ტყიბულის მე-4 საჯარო სკოლის კურსდამთავრებული, ოქროს მედალოსანი, ჩაირიცხა თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში (50% გრანტით).

ალექსანდრე ფოფხაძე - ტყიბულის მე-2 საჯარო სკოლის კურსდამთავრებული, ოქროს მედალოსანი, ჩაირიცხა შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტში (70% გრანტით).

გიორგი ობოლაძე - ტყიბულის მე-6 საჯარო სკოლის კურსდამთავრებული, ჩაირიცხა საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში (70% გრანტით).

ღონისძიებას ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლები, კურსდამთავრებულთა მშობლები, პედაგოგები და სკოლის დირექტორები ესწრებოდნენ.

სოციალური პროგრამებით მოსარგებლე ოჯახების ბავშვებს ჩანთები და სასკოლო ნივთები გადაეცათ

ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერმა, დავით ჩერქეზიშვილმა, მუნიციპალიტეტის სოციალური პროგრამებით მოსარგებლე ოჯახების ბავშვებს უმასპინძლა, მათ სწავლის დაწყება მიულოცა და საჩუქრად ჩანთები და სასკოლო ნივთები გადასცა.

შეხვედრას მოსწავლეებთან ერთად, მათი მშობლები და ადგილობრივი თვითმმართველობის სხვა წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

აღნიშნული სოციალური პროგრამით ისარგებლეს, ტყიბულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული (დროებითი საცხოვრებელიადგილი)დაფაქტობრივადმცხოვრები იძულებით გადაადგილებული ოჯახების (200 000 სარეიტინგო ქულამდე), შახტში დაღუპულთა და დაშავებულთა, სოციალურად დაუცველი ოჯახების (რომელთა სარეიტინგო ქულა არ აღემატება 20 001-ს) I-VI კლასის და ბავშვთა ინდივიდუალური მხარდაჭერის გეგმით განსაზღვრული I-XII კლასის მოსწავლეებმა.

ტყიბულის მხარეთმცოდნეობის მუზეუმს ახალი ხელმძღვანელი ჰყავს



ტყიბულის მუნიციპალიტეტის კულტურის ობიექტების გაერთიანების მხარეთმცოდნეობის მუზეუმს ლუიზა ლაფერაძე უხელმძღვანელებს. ლუიზა ლაფერაძემ იაკობ ნიკოლაძის სახელობის სამხატვრო სასწავლებელი, ასევე აპოლონ ქუთათელაძის სახელობის თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია დაამთავრა; იყო ამავე აკადემიის ლექტორი; არის ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ლექტორი; მონაწილეობდა გამოფენებში საქართველოსა და მის ფარგლებს გარეთ, არის არაერთი პროექტის ორგანიზატორი და მონაწილე. შემოქმედებით რეზიდენციებში იმყოფებოდა გერმანიასა და ჰოლანდიაში. ნამუშევფრები დაცულია შალვა ამირანაშვილის სახელობის საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის ახალი და თანამედროვე ხელოვნების ფონდში, ლაიფციგის საერთაშორისო სახელოვნებო რეზიდენციის ფონდში, შფინერაი (ლაიფციგი, გერმანია); საერთაშორისო „ერთწუთიანი ვიდეო-არტის" ფონდის კოლექციაში (ამსტერდამი, ნიდერლანდების სამეფო) და სხვადასხვა კერძო კოლექციებში.

იმერეთმა წელს ჰირვედად „მთის დღეებს" შეასპინძლა

გორდში, დადიანების ტყე-პარკში ,,მთის დღეების" ფარგლებში ადგილობრივი მეწარმეების პროდუქციის გამოფენა-გაყიდვა, ადგილობრივი კულინარიის გაკვეთილები, დეგუსტაცია და გასართობი აქტივობები მოეწყო.

,,მთის დღეების" საზეიმო გახსნას იმერეთში სახელმწიფო რწმუნებული ზვიად შალამბერიძე, ხონის მერი ლადო ჯურხაძე საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ხელმძღვანელი მაია ომიაძე და დაინტერესებული პირები ესწრებოდნენ.

,,მთის დღეები" საქართველოს მთავრობის და უშუალოდ პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილის გადაწყვეტილებით მეორე წელია იმართება.

,,მთის დღეების" ფარგლებში ის პირები დაჯილდოვდნენ, რომელთაც სოფლის განვითარებაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს.

მთის ერთგულებისთვის და მის განვითარებაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისთვის სოფელ გორდში მცხოვრები გულიადა სანოძე, სოფელ ძეძილეთში მცხოვრები ელდარი მეძველია და სოფელ კინჩხაში მცხოვრები გიორგი გორგოძე დაჯილდოვდნენ.

გორდში, თითქმის ყველა ჟანრის მუსიკა აჟღერდა. ადგილობრივ და უცხოელ სტუმრებს ქართული ფოლკლორი ანსამბლმა ,,ჩვენებურებმა" ერთსაათიანი კონცერტით გააცნო.

ანსამბლ ,,ჩვენებურების" შემდეგ, სცენა თიკა ბალანჩინმა და ჯგუფმა ,,ნიუ ვანმა" დაიკავეს. ,,მთის დღეები" კოცონთან, ,,თბილისური კვარტეტის" სიმღერებითა და ფოიერვერკით დასრულდა.



ქუთაისში დრიფტის ჩემპიონატი გაიმართა

ქუთაისში ჩატარდა საქართველოს ჩემპიონატის III ეტაპი დრიფტში, სადაც 30-მდე პროფესიონალმა დრიფტერმა მიიღო მონაწილეობა.

დრიფტერებმა საზოგადოებას სანახაობრივი რბოლა და მანევრები შესთავაზეს.

ჩემპიონატის გამარჯვებული მევლუდ მელაძე გახდა, **მეორე ადგილი** დაიკავა ირაკლი შალიკაშვილმა, **ხოლო მესამე** ვახო ხურციძემ.

პირველი ადგილის მფლობელს თასი იმერეთში სახელმწიფო რწმუნებულმა ზვიად შალამბერიძემ გადასცა.

ჩემპიონატი 15-16 ივლისს BMW Club Georgia-ს ორგანიზებით და ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის მხარდაჭერით, ასევე საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს თანადგომით და საქართველოს საავტომობილო სპორტის ფედერაციის მიერ ჩატარდა.

ღონისძიების მიზანია აღკვეთოს ქუჩის სახიფათო რბოლები და ახალგაზრდები მოიზიდოს უსაფრთხო შეჯიბრებზე საასპარეზოდ.



თერჯოლაში ჯიდეჯ ერთი ახალი რეკრეაციული სივრცე გაიხსნა

საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამის ფარგლებში, ევროკავშირის დაფინანსებით, თერჯოლის მუნიციპალიტეტში, მერიის ადმინისტრაციული შენობის მიმდებარე ტერიტორიაზე ამფითეატრი და სკვერი მოეწყო, რომელსაც თერჯოლის ტრაგიკულად დაღუპული მერის, ლაშა გოგიაშვილის სახელი მიენიჭა.

პროექტის ფარგლებში მოეწყო ამფითეატრის სცენა, დეკორატიული პერგოლა, დასასვენებელი სკვერი, საფეხმავლო ბილიკები, გამწვანება, ღამის სანათები, ფანჩატური და ძელსკამები.

ასევე, რეაბილიტაცია ჩაუტარდა სკვერის მიმდებარე ტერიტორიაზე შენობა-ნაგებობებს.

განახლებული სივრცის გახსნას იმერეთში სახელმწიფო რწმუნებული ზვიად შალამბერიძე, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის მოადგილე მზია გიორგობიანი, საქართველოს პარლამენტის წევრები მამუკა მდინარაძე, ირაკლი კობახიძე, გივი ჭიჭინაძე, პაატა კვიჟინაძე, ბეჟან წაქაძე და ზაზა ლომინაძე ესწრებოდნენ.

პროექტი ევროკავშირის დაფინანსებით განხორციელდა და ღირებულება 1 202 000 ლარია.

გარდა ამისა, საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამის ფარგლებში თერჯოლაში ხორციელდება სოფელ ძევრში, მდ. ძევრულას კარსტულ ხეობაში რეკრეაციული ზონის მოწყობა; უკვე დასრულდა საგვარჯილეს მიმდებარე ტერიტორიაზე გაბიონებისა და მდინარე ძერულაზე გადასახედების კეთილმოწყობა, მიმდინარეობს საპიკნიკე ფანჩატურების, გამოქვაბულებამდე მისასვლელი ბილიკის მშენებლობა.

სახელმწიფოს ფინანსური მხარდაჭერით, სამტრედიაში მეგნახველი მეურნეობა ამოქმედდა

ევროკავშირი-საქართველოს „საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამის" ფინანსური მხარდაჭერით, კომპანიამ „კაილაში" იმერეთში, სამტრედიაში მარცვლეულის შემნახველი საწარმო მოაწყო.

შემნახველი მეურნეობა, იმერეთის რეგიონში სახელმწიფო რწმუნებულმა ზვიად შალამბერიძემ, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილემ თენგიზ ნასარიძემ, რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის მოადგილემ მზია გიორგობიანმა და სამტრედიის მერმა დავით ბახტაძემ დაათვალიერეს.

კომპანიამ „კაილაში" თანამედროვე სტანდარტებით აღჭურვილი შემნახველი მეურნეობის მოსაწყობად, „საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამით" 450,000 ლარის ოდენობის სესხი მიიღო, საიდანაც 270,000 ლარს სოფლის განვითარების სააგენტო დააფინანსებს. შპს „კაილაშისა" და ადგილობრივი ფერმერების მიერ მოყვანილი სიმინდის მოსავლის თანამედროვე სტანდარტებით შენახვას პროგრამის ფარგლებში შექმნილი 1,000 ტონამარცვლეულისშენახვაზეგათვლილი ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს. შემნახველ საწარმოში 8 ადგილობრივია დასაქმებული.

ევროკავშირი-საქართველოს „საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამას" რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო მართავს და გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სოფლის განვითარების სააგენტო ახორციელებს, საქართველოს ოთხ საპილოტე რეგიონში - იმერეთში, კახეთში, გურიასა და რაჭა-ლეჩხუმ-ქვემო სვანეთში. პროგრამის მესამე კომპონენტის მიზანია მცირე და საშუალო ბიზნესის ხელშეწყობა, რაც გულისხმობს ახალი საწარმოების შექმნას, არსებული საწარმოების გაფართოებას ან გადაიარაღებას.

პროგრამის ფარგლებში, საქართველოს მასშტაბით, 48 საწარმო დაფინანსდა. ჯამურად, დამტკიცებული სესხის ოდენობამ 32,6 მლნ ლარი შეადგინა, საიდანაც სოფლის განვითარების სააგენტოს თანადაფინანსების მოცულობა 19,2 მლნ ლარს აღემატება.

ჭკვიანი სპეციალიზაციის სტრატეგიის პირველადი პროექტის განხილვა

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს, იმერეთში სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციისა და თორმეტივე მუნიციპალიტეტის მხარდაჭერით სამინისტრომ „იმერეთის რეგიონის ჭკვიანი სპეციალიზაციის სტრატეგიის" პირველადი პროექტი შეიმუშავა.

იმერეთში სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციაში შეხვედრა გაიმართა, სადაც „იმერეთის რეგიონის ჭკვიანი სპეციალიზაციის სტრატეგიის" პირველადი პროექტი განიხილეს. საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის მოადგილემ მზია გიორგობიანმა და სახელმწიფო რწმუნებულმა ზვიად შალამბერიძემ, მუნიციპალიტეტების ხელმძღვანელ პირებს პროექტი გააცნეს და დეტალურად ისაუბრეს ბიზნესის ხელშეწყობის საჭიროებებზე.

იმერეთის ჭკვიანი სპეციალიზაციის სტრატეგიის პრიორიტეტული 4 ძირითადი მიმართულება (დომეინები) უკვე განისაზღვრა.

- ლითონის მადნების მოპოვება, ძირითადი ლითონების და ლითონის მზა ნაწარმის წარმოება

- ხე-ტყის დამუშავება, ხის პროდუქტებისა და ავეჯის წარმოება

- კვების ინდუსტრია (მ.შ. აგრობიზნესი, ხორცის გადამუშავება და ჰორეკას სექტორი)

- ტექსტილის, ფეხსაცმლის, ტყავის ნაკეთობათა წარმოება

ჭკვიანი სპეციალიზაციის პროგრამის ეგიდით, 2020 წლიდან აქტიურად მიმდინარეობდა მოსამზადებელი სამუშაოები იმერეთის ჭკვიანი სპეციალიზაციის სტრატეგიის შემუშავებისთვის, რომლის ფარგლებში ჩატარდა იმერეთის ეკონომიკური და ინოვაციური პოტენციალის კარტირების რაოდენობრივი და ხარისხობრივი კვლევები, რის შედეგადაც, უახლოესი წლებისთვის გამოვლინდა მაღალი ეკონომიკური და ინოვაციური პოტენციალის მქონე ოთხი პრიორიტეტული მიმართულება (ე.წ. დომეინი).

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო, 2018 წლის ევროკავშირი-საქართველოს უმაღლესი დონის შეხვედრის შემაჯამებელი დოკუმენტის შესაბამისად, და შემდგომში, ევროკავშირთან 2021-2027 წლების ასოცირების დღის წესრიგით გათვალისწინებული შესატყვისი თემატური ვალდებულებების გათვალისწინებით, საქართველოს შესაბამის სახელმწიფო უწყებებთან და ევროკომისიის ერთიანი კვლევის ცენტრთან (JRC) მჭიდრო თანამშრომლობით, მუშაობს ევროკავშირის რეგიონული პოლიტიკის დაგეგმვისა და განხორციელების ერთ-ერთი მოწინავე მექანიზმის – „ჭკვიანი სპეციალიზაციის" პლატფორმის („Smart Specialisation" – S3) საქართველოში, კერძოდ კი იმერეთის რეგიონში პილოტირება/დანერგვის მიმართულებით.

ქუთაისში ჯომარდობის ბაზის მშენებლობა დასრულდა

სპორტული ინფრასტრუქტურის განვითარების პროექტის ფარგლებში, ლესელიძის ქუჩაზე მოეწყო გამშვები ბაზა, ხოლო აღმაშენებლის გამზირზე - მიმღები.

გამშვები ბაზიდან საჩვენებელი დაშვება მოეწყო, რომელსაც იმერეთში სახელმწიფო რწმუნებული ზვიად შალამბერიძე, რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის მოადგილე მზია გიორგობიანი, ქუთაისის მერი იოსებ ხახალეიშვილი და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები დაესწრნენ.

,,ჯომარდობა რიონზე ძალიან პოპულარული სპორტის სახეობაა, როგორც ჩვენი თანამოქალაქეებისთვის, ასევე ჩვენი უცხოელი ტურისტებისთვის. აქედან გამომდინარე გადავწყვიტეთ კიდევ, უფრო გაგვეუმჯობესებია ის პირობები, რასაც აქამდე სთავაზობდა ქუთაისი ექსტრემალური სპორტის მოყვარულებს. ევროკავშირის ფინანსური დახმარებით ჩვენ, შევძელით აგვეშენებინა ახალი გამშვები და მიმღები შენობები, რაც ვფიქრობ, უფრო გააუმჯობესებს პირობებს და სპორტის ამ სახეობას მეტად პოპულარულს გახდის დაინტერესებული პირებისთვის" - ზვიად შალამბერიძე.

ჯომარდობის ბაზის მოწყობაზე 1 892 149 ლარი დაიხარჯა. აღსანიშნავია, რომ იმერეთში ევროკავშირის დაფინანსებით, საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამის ფარგლებში, 69 656 927 ლარის ღირებულების ინფრასტრუქტურული პროექტებია დაფინანსებული და განხორციელებული.

„ზესტაფონობა 2023" მრავალფეროვანი ღონისძიებებით აღინიშნა

ზესტაფონში სახალხო ზეიმი "ზესტაფონობა" გაიმართა. საიუბილეო კვირეული შემეცნებით, კულტურულ, მხატვრულ, მუსიკალურ, სპორტულ და გასართობ ღონისძიებებს აერთიანებდა. მოეწყო საბავშვო გასართობი სივრცეები, გამოიფინა ქართული ხალხური რეწვის ნუმუშები, ხელნაკეთი ნივთები. წარმოდგენილი იყო გასტრონომიული კუთხე.

ზესტაფონქალაქობის საიუბილეო კვირეული ქართული ლირიული სიმღერის ფესტივალით "სულიკო 2023" გაიხსნა. სპეციალურმა ჟიურიმ ფესტივალის გამარჯვებულები გამოავლინა.

სადღესასწაულო ღონისძიებები ოფიციალური მიღებით დაიწყო. მუნიციპალიტეტის მერიაში ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლები დამეგობრებული ქალაქების (ტაურაგე - ლიეტუვა, ტჩევი - პოლონეთი) დელეგაციებს შეხვდნენ. გაიმართა მუნიციპალიტეტის საჯარო და კერძო სკოლების კურსდამთავრებული, ერთიან ეროვნულ გამოცდებზე 100% - იანი გრანტის მქონე სტუდენტების საზეიმო დაჯილდოება ფულადი პრიზებით.

დაჯილდოვდნენ წარმატებული სპორტსმენები. გამოვლინდნენ "ზესტაფონის საპატიო მოქალაქეები". ღონისძიებები გალა კონცერტით და გრანდიოზული ფოიერვერკით დასრულდა.

საქნახშირი

“მეთანის 1%-ზე მეტი ჯონცენტრაციისას ბერლვა-ფეთქების საშუშაოების წარმოება აკრძალულია!

ამ წესის დაცვით, მხოლოდ საკუთარ თავზე კი არა, იმ ადამიანებზეც ზრუნავ. ვისთან ერთადაც მიწის სიღრმეში ჩადიხარ.

გელა ბოჭორიშვილი

ნახშირ მომპოვებული უბნის მიწისქვიშა გამყვანი

მეშახტე

აგვისტო-სექტემბერი 2023

სარედაქციო საბჭო:
გვანცა დელიბაშვილი, გიორგი სულაძე, მაკა კობახიძე, გაგა ისაკაძე, ონისე საპანაძე, ბექა აშოთია, კახა ჩიქობავა, ხვიჩა გაბუნია.
მისამართი: ტყიბული, თაბუკაშვილის 13

ჟორნალტიული გამოცემა

www.facebook.com/saknakhshiri